



შპს ორიენტირი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება		მასაჟისტი
საფეხური		III საფეხური
სასწავლო კურსის დასახელება		ლათინური ენა და სამედიცინო ტერმინოლოგია
სასწავლო კურსის კოდი		MAS03-02
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა		13 კვირა
პროფესიული მასწავლებელი		ნანა იაძე
საკონტაქტო ინფორმაცია		5 98 16 71 68
ელ-ფოსტა		nana_iadze@yahoo.com
2კრედიტი 50 საათი	ლექცია	13საათი
	სამუშაო ჯგუფში მუშაობა	14 საათი
	შუალედური გამოცდა	1 საათი
	დასკვნითი გამოცდა	2 საათი
	დამოუკიდებელი მუშაობა	20 საათი
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა		წინაპირობის გარეშე
სასწავლო კურსის მიზანი		სასწავლო კურსის მიზანია პროფესიულ სტუდენტებს შეასწავლოს პროფესიული სამედიცინო ლათინური ტერმინები, გამონათქვამები, რათა მან შეძლოს დიაგნოზის წაკითხვა ლათინურ ენაზე და გაიცნოს პაციენტის კლინიკური მდგომარეობა.
სასწავლო კურსის შინაარსი		იხ. დანართი
პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება		სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება: ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი, (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%, (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%, (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%, (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%, ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50% რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის

უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**საბოლოო შეფასება** არის შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამი.

**შუალედური შეფასება** - მაქსიმუმ 60 ქულა.

**დასკვნითი გამოცდის შეფასება** - მაქსიმუმ 40 ქულა.

**შუალედური შეფასება შედგება :**

**ერთი შუალედური გამოცდა-მაქსიმუმ 28**

**ქულა.** ტარდება წერილობითი ფორმით -

ა) 18 დახურული კითხვა ბ) 10 ლათინურ ტერმინის განმარტება ქართულ ენაზე.

**1 ქულა**-ერთი სწორი პასუხი;

**0 ქულა**-მცდარი ან გაუცემელი პასუხი

**წერიტი საშინაო დავალების შეფასება** - მაქსიმუმ **16 ქულა**. პროფესიულმა სტუდენტმა უნდა შეასრულოს 4 წერილობითი დავალება, თითოეული ფასდება მაქსიმუმ 4 ქულით.

**4 ქულა**-სწორად აქვს შესრულებული წერიტი დავალება; თარგმანი არის გამართული

**3 ქულა**-შესრულებულია წერიტი დავალების უმეტესი ნაწილი და თარგმანი; თუმცა დაშვებულია მცირე შეცდომა;

**2 ქულა**-შესრულებულია წერიტი დავალებისა და თარგმანის მხოლოდ ნაწილი; დაშვებულია ბევრი შეცდომა;

**1 ქულა**- შესრულებული დავალების ძირითადი ნაწილი არის შეცდომებით.

**0 ქულა**-დავალება არ არის შესრულებული.

**ზეპირი აქტივობა კითხვებზე** პასუხი 4 - ჯერ, თითოეული მაქსიმუმ - 4 ქულა, სულ **16 ქულა**

**4 ქულა** - გამართულად ფლობს ტერმინოლოგიას და ნათლად პასუხობს კითხვებს;

**3 ქულა** - ფლობს ტერმინოლოგიის უმეტეს

ნაწილს; ძირითად შემთხვევაში პასუხობს კითხვებს;

**2 ქულა** - ნაწილობრივ ფლობს ტერმინოლოგიას; ნათლად ვერ პასუხობს კითხვებს;

**1 ქულა** - ფლობს ტერმინოლოგიის უმცირეს მარაგს, უჭირს კითხვებზე პასუხის გაცემა;

**0 ქულა** - ტერმინოლოგია არ იცის; არ შეუძლია კითხვებზე პასუხის გაცემა;

**დასკვნითი გამოცდა:** 20 დავალება, თითოეული ფასდება მაქსიმუმ 2 ქულით, **სულ 40 ქულა**

**1. დავალება მოიცავს 10 კითხვას:** მითითებულ სიტყვებზე პრეფიქსისა და სუფიქსის მიმატებით უნდა აწარმოოს პათოლოგიური პროცესისა და სხვადასხვა ორგანოს დაავადებების სახელები.

**2 ქულა** - პასუხი სწორია და სრულყოფილი, სწორად აწარმოებს პრეფიქსის და სუფიქსის მიმატებით პათოლოგიური პროცესებს და სხვადასხვა ორგანოს დაავადებებს.

**1 ქულა** - კითხვაზე ნაწილობრივ სცემს პასუხს, უჭირს აწარმოოს პრეფიქსის და სუფიქსის მიმატებით პათოლოგიური პროცესები და სხვადასხვა ორგანოს დაავადებები.

**0 ქულა** - კითხვაზე პასუხს ვერ სცემს ან მცდარია პასუხი

**2. დავალება მოიცავს 10 კითხვას.**

არაპროფესიონალის მიერ ჩაწერილი 5 დიაგნოზის გადაწერას სადაც თვითონ გამოიყენებს სწორ სამედიცინო ტერმინოლოგიას და 5 რეცეპტის წაკითხვას.

**2 ქულა** - პასუხი სწორია და სრულყოფილი, სწორად იყენებს სამედიცინო ტერმინებს, სწორად კითხულობს რეცეპტს.

**1 ქულა** - კითხვაზე ნაწილობრივ სცემს პასუხს, უჭირს სამედიცინო

	რეტმინოლოგიის გამოყენება და რეცეპტის წაკითხვა. <b>0 ქულა</b> - კითხვაზე პასუხს ვერ სცემს ან მცდარია პასუხი პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო კურსში კრედიტი მიენიჭება, თუ ქულების დაჯამებით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა; პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.
სწავლის შედეგები	<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b> შეუძლია წაიკითხოს დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გაიცნოს პაციენტის კლინიკური მდგომარეობა.
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	<b>სწავლების მეთოდები:</b> ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა (სავარჯიშოების შესრულება) წერითი საშინაო დავალების შემოწმება. კითხვებზე პასუხი. <b>სწავლის მეთოდები:</b> წერითი საშინაო დავალების შესრულება, პრაქტიკულ მეცადინეობებში მონაწილეობის მიღება. გამოცდებისათვის მზადება. ლიტერატურით გათვალისწინებული მასალის ზეპირად მომზადება.
სავალდებულო ლიტერატურა	1. ნ. გიგოლაევა, რ. გიორგობიანი, ნ. სირამე, Lingua Latina medicinalis, <b>სამედიცინო ლათინური ენა</b> , თბ. სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 2012 წ. 2. გ. გოგიჩაძე და სხვ., <b>სამედიცინო ტერმინოლოგია ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი</b> , თბ., 2009
დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	გ. ათანელაშვილი, ნ. ათანელაშვილი „ლათინური ენის სახელმძღვანელო" თბ., 1979 წ.
სასწავლო რესურსები	შპს ორიენტირის საკუთრებაში არსებული სასწავლო რესურსი

დანართი 1

#	კვირა	ლექციის/სამუშაო ჯგუფში მუშაობის თემა	საათების რაოდენობა კვირაში		
			ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა	გამოცდა
1	1	სილაბუსის გაცნობა. ლათინური ენის მოკლე მიმოხილვა. ფონეტიკა. არსებითი სახელი. საერთო მიმოხილვა	2	1	
2	2	ზედსართავი სახელი. რიცხვითი სახელი. შეთანხმებული და შეუთანხმებელი მსაზღვრელები	1	2	
3	3	პირველი და მეორე ბრუნვის არსებითი სახელი. მესამე, მეოთხე და მეხუთე ბრუნვის არსებითი სახელები ზმნა. ზმნის საერთო მიმოხილვა.	1	2	
4	4	სამედიცინო სტილის ადგილი ფუნქციურ სტილთა შორის, ტერმინის დახასიათება, მეტყველების სფეროში გამოყენებული ტერმინოლოგია როგორც ყოველი სიტყვის ფორმისა და შინაარსის ერთიანობა.	1	2	
5	5	სამედიცინო ტერმინოლოგიის კლასიფიკაცია წარმოშობის მიხედვით. სამედიცინო ტერმინები, კლასიკური ენებიდან ნასესხები სამედიცინო ტერმინები.	1	1	
6	6	ანატომიურ-ჰისტოლოგიური ტერმინები და მასში გამოყენებული ლათინური წარმოშობის სიტყვები, ჰიბრიდული ტერმინები-ნასესხები და ქართული.	1		

		<b>შუალედური გამოცდა</b>			1
7	7	სამედიცინო ტერმინთა თემატური კლასიფიკაცია, სამედიცინო ტერმინებში გამოყენებული ექვსი თემატური ჯგუფი. სამედიცინო ტერმინთა ლექსიკური სემანტიკა და ეტიოლოგია, სამედიცინო ტერმინთა დახასიათება სემანტიკის მიხედვით.	1	1	
8	8	ტერმინი, როგორც მინიმალურად მოტივირებული ერთეული სიტყვაში შესული ლათინურ-ბერძნული ტერმინები.	1	1	
9	9	ასოციაციური და ნეიტრალური ტერმინები; ფრაზეოლოგიური ტერმინები; ტერმინთა დახასიათება.	1	1	
10	10	კლასიკურ-სემანტიკური პროცესი, პოლისემია, ომონიმია, ანტონიმია, ეპონიმების საფუძველზე შექმნილი ერთსიტყვიანი სამედიცინო ტერმინები.	1	1	
11	11	პარონიმია და მედიცინის ენა. არაპარონიმული სიტყვები: კალკი, ფლორა, ფაუნა, ამპულა, სკალპელი, სინონიმთა 2 ჯგუფი: ლექსიკური და უცხოური წარმოშობის პარონიმები.	1	1	
12	12	ნასესხებ ტერმინთა გამოარსებულ სინონიმთა რაოდენობა. სინონიმთა ჯგუფები.	1	1	
13	13	<b>დასკვნითი გამოცდა</b>			2
<b>საბოლოო ჯამი</b>			13	14	3
			30		